**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრანსკის სახლებ... ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ჯერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

ერთის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო ... ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანების ასოებით ... ზე მაური.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია ... და შესამოკლებლად დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი იბეჭდება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.


ამაღლების დღესასწაულის გამო, ...ალ, პარასკევს, გაზეთი არ გამოვა.

---

თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა მოიწვევა დღეს, დილის ... საათზედ გუბერნიის კრებისათვის.

შეკრებილება იქმნება ტფილისის ...ბერნიის ზალაში (კლუბში.) (2—2)

---

# ტელეგრამმა

(„ჩრდილო-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 4 მაისს. გაზეთებში ...ერებიან, უმაღლესმა მთავრობამ გა...წყვიტა, რომ შავს ზღვაზე ჯავ...ანი ხომალდები გაიჩინოსო.

...გლეხების საქმეებისა და მდგომა...ების განსახილველად ცალკე სამი...სტროის ანუ მთავარ სამმართვე...ს დაწესებას აპირებენ.

...ბუშის საქმის განხილვა გუშინ და...წყეს სასამართლოში; 135 მოწამეა ...ს საქმის თაობაზედ დაბარებული.

---

## ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის კრება, 1 მაისს.

ზედამხედველ კომიტეტის წევრმა ...ბ. დ. თულაშვილმა წარუდგინა ბან...ის გამგეობას წინადადება, რადგან ...ფულის მამულების დამგირავებელთ, ...სხვათა შორის, ბევრი დაბრკოლება ...ლევათ იმიტომაო, რომ ხშირად ...ვეა ყველა საბუთები აქვთ მამულის ...ფლებისა და არა აქვთ მხოლოდ ...რომ ბანკში დასაგირავებელ მამულე...ისა, ამის გამო კარგი იქნებაო, რომ ...ჩვენს ბანკში დაწესდეს ცალკე გან...ყოფილება ერთის მიწის-მზომლით (ზემლემერით), რომელიც ხელს მოუმართავს მამულის დაგირავების მსურველთ, მიწას გაუზომავს, პლანს აუღებს და სხვა საბუთებს უშოვნისო. თავის წინადადების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად ბ. თულაშვილმა მოიყვანა მაგალითი ქართლელ აზნაურების ტატიშვილებისა, რომელთაც თავიანთ მამულის დაგირავება უნდოდათ ჩვენს ბანკშიო, მაგრამ ფული ვერ მიიღეს, სხვათა შორის იმიტომაო, რომ ამათი მამული ბეჯითად არ იყო გაზომილი, დაახლოებით იყო ნაჩვენები მამულის სივრცეო.

ტატიშვილების გვარის ხსენებამ ჩოჩქოლი აღძრა საზოგადოებაში: როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, ამ ტატიშვილების საქმეზედ იყვნენ დაფუძნებულნი ყველა მოწინააღმდეგენი ბანკის თავსმჯდომარის თ. ილ. ჭავჭავაძისა; ამბობდნენ: იმის ამორჩევა, გაშავება ან გათეთრება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ იმართლებს ამ ტატიშვილების საქმეში თავსაო.

წამოდგა ერთი ტატიშვილთაგანი და სთქვა, რომ ჩემი საქმის თაობაზედ მე მსურს რამდენიმე სიტყვა მოვახსენე საზოგადოებასაო.

ბანკის გამგეობის თავსმჯდომარემ თ. ილ. ჭავჭავაძემ სთხოვა იმას, დრომდის მოეთმინა თავის საჩივრის განცხადებას; ჯერ ბ. თულაშვილის წინადადება გვიძევს წინ განსახილველათაო და როცა ამაზედ გავათავებთ სჯას, თქვენ რო არაფერი სთქვათ თქვენს საქმეზე, თვითონ გამგეობა სთხოვს კრების თავსმჯდომარეს, რომ ეს საქმეც იყოს დღეს აქ განხილული და ყველასთვის აშკარად გამოცხადებული.

ბევრი არ ულაპარაკნიათ ბ. თულაშვილის წინადადებაზედ: ბ. დ. ქ. ყიფიანის ავტორიტეტულ ორი სიტყვა და თ. ი. გ. ჭავჭავაძის აგრეთვე მოკლე შენიშნვა საკმაო იყო ამ წინადადების საუკუნოდ დასამარხავად. ერთი და მეორეც იმ საფუძველზე იდგნენ, რომ ჩვენგან ამორჩეული და დანიშნული ზემლემერი ამ საქმეში ვერაფერს სამსახურს ვერ გაუწევს ვერც ბანკსა და ვერც იმ მემამულეებს, რომელთაც ჩვენს ბანკში მამულის დაგირავება ჰსურთო. ამ ზემლემერის მოქმედებას, იმის გაზომას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ბირჟისა და იმ პირებისათვის, რომელნიც ჩვენს გირავნობის ფურცლებს იძენენ, რომელთაც ოფიციალური, ნამდვილი საბუთები და პლანები ეჭირებათ იმაში დასარწმუნებლად, რომ ბანკში დაგირავებული მამულები კარგს გირაოს, ნამდვილ გარანტიას შეადგენს გირავნობის ფურცლისათვის და სხვ.

კრებამ საფუძვლიანად ... ბ. ყიფიანისა და თ. ჭავჭავაძის საბუთები და მოსაზრება, და თითქმის ერთ-ხმად უკუაგდო ბ. თულაშვილის წინადადება.

ახლა ტატიშვილების საქმე.

წინ წამოდგა ბ. კ. ტატიშვილი და თითქმის ორატორულის ხელოვნებით, დალაგებით და გარკვევით დაიწყო თავის საქმის მოთხრობა.

მოკლედ მოვიყვანთ შინაარს როგორც ამის სიტყვისას, აგრეთვე იმ მართლა მშვენიერს და ლოგიკით სავსე სიტყვისას, რომელიც ამ საქმის შესახებ წარმოსთქვა ბანკის გამგეობის თავსმჯდომარემ თ. ი. გ. ჭავჭავაძემ.

როცა მამულის დაგირავება განვიზრახე, ჯერ პირველად ბანკში მოვედი, ვთხოვე დარიგება მოეცათ—თუ როგორ უნდა მოვქცეულვიყავ, რა საბუთები უნდა წარმედგინა და სხვ., რომ დაბრკოლება არ მქონოდა სესხის აღებაში. ერთმა წევრთაგანმა ბანკის გამგეობისა მომცა ყოველგვარი დარიგება და მეც ამ დარიგების თანახმად მოვიქეც, და წარვადგინე საბუთები და პლანები. ჯერ მითხრეს, ამ საბუთებით სესხს მიიღებ, კრედიტნი კანცელარიაში მივწერთ, გირავნობის ფურცლები მოგვივა და მოგცემთო. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ შევიარე ბანკში; მითხრეს: თქვენი მამული სადავო მამული ყოფილა, სასამართლოს განაჩენი და ან სხვა რამ საბუთი უნდა წარმოადგინოვო, რომ ამ მამულზე არავითარი დავა არ არისო. თუმცა ეს ამბავი ქუჩაზე გაგონილ ჭორზე იყო დამყარებული, მაგრამ ... [illegible] ...მართლოებში და წარუდგინე მოთხოვნილი საბუთი. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდნენ: გაყოფის ქაღალდი წარმოადგინეო,—ესეც შევუსრულე. არც ამით დაკმაყოფილდნენ. ბოლოს გამომიცხადეს, რომ არამცა-და-არამც თქვენ ბანკიდამ ფულს ვერ მოგცემთო. ზედამხედველ კომიტეტში შევიტანე საჩივარი. კომიტეტმა მისწერა გამგეობას, რომ მოეცათ ჩემთვის ფული. გამგეობამ მაინც კიდევ არ ინება. ახლა მინდა შევიტყო—რად და-

---

## „დროების" ფელეტონი, 6 მაისი.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

იმ დროს მისი ამხანაგები, რომლე...ც გაიქცნენ სალდათების დახოცის ...შემდეგ, ერთბაშად შესდგნენ და დაი...ნახეს, რომ იაგო იმათთან აღარ იყო. ...მათ დაეიწყებოდათ იაგოს სისუსტე ...და ამის გამო ჰგონებოდათ რომ მო...ვე იმათთან სიარულს შესძლებს.

— იაგო რაი იქნა? იკითხა პირვე...ლად კობამ.

— აბა, რაი ვიცი? უპასუხა თორ...ღამ.

— იაგო! წყნარად დაუძახა მოხე...ვმ.

— იაგო! გაიმეორა იმან, მაგრამ ...ხმა მეორეთაც ისე უპასუხოდ და...იკარგა ჰაერში, როგორც პირველად.

— ვაი თუ მომიკლეს! დაიკრა მუხლებზედ ხელი კობამ და ორნივ ამხანაგები სირბილით წავიდნენ იმ მხარისაკენ, სადაც რამდენიმე წუთს წინათ სისხლის ღვრა მოხდა.

ისინი მირბოდნენ გულის ხეთქით რადგანაც ეშინოდათ, რომ იაგო ან არ დაეჭრათ, ან არ მოეკლათ.

კობას მოაგონდა იაგოს სისუსტე და მაშინ მოიაზრა რომ შესაძლებელი იყო იმას ისე შემოჰყროდა გულს და ამიტომ მოშორებოდა იმათ. თუმცა ეს მოაზრება კობას ამშვიდებდა ერთის მხრით, მაგრამ მეორე მხრით უფრო შემაწუხებელმა ფიქრებმა გაურბინეს თავში:

— ახლა რომ იქ მოასწრონ და დაიჭირონ, რაიღა მეშველების?

— იმ ურჯულოებმაც დრიალი შექმნეს, დაუმატა თორღამ.

— ნეტავ ისინიც არ გაგვეშვა და მოგვეკლა. ჯავრით წარმოსთქვა კობამ.

— ღმისა შეგვეწევის! მისცა იმედი თორღამ.

ისინი მივიდნენ იმ ადგილას და ჩქარა იპოვნეს გულ-შემოყრილი იაგო, რომელიც თორღამ წამოიკიდა და გასწიეს ჩქარის სიარულით თავის გზაზედ.

სალდათები რომლებიც გადარჩნენ და გაიქცნენ ყვირილით და რომლებისაც ისე ეშინოდათ კობას და იმის ამხანაგს მიმალულიყვნენ ბუჩქებში და ცახცახით, გულ-გახეთქილები გათენებას ელოდნენ.

როდესაც ყველაფერი დამშვიდდა, განთიადის სიომ დაჰკრა, ისინი წყნარა და სიფთხილით გამოძვრნენ თავიანთის სამალიდგან, გახედეს იმ ალაგს საიდგანაც ისე გულ-გახეთქილები გამოიქცნენ და დაინახეს თავის სამი ამხანაგი, რომელთათვისაც სიკვდილს სახე დაეპრანჭა და გულ-აღმა ეყარნენ.

ისინი წყნარად მივიდნენ, აიღეს თავ-თავიანთ თოფები, რომლებიც იქავე ეყარა და დაფიქრდნენ თავიანთ მდგომარეობაზედ. იმათგან არც ამხანაგების შებრალება, არც სხვა რომელიმე კაცობრიული გრძნობა. იმათ ...შინოდათ თავისი უფროსისა, რომელიც უეჭველად გადაახდევინებდა აქამდის სიჩუმისთვის.

— რა ვქნათ? სთქვა ერთმა.

— ნაჩალნიკი როზგით ტყავს გაგვაძრობს, სულს ამოგვართმევს! დალონებით უპასუხა მეორემ.

კარგა ლაპარაკისა და ფიქრის შემდეგ, რომელიც მარტო იმათ პირად საქმეს შეეხებოდა, იმათ გადაწყვიტეს, რომ გაისვრიან თოფებს; გაიქცევიან ციხეში და მოიგონებენ, ვითომც მთელი ჯარი დაეცა, გატეხეს ციხე და პყრობილები წაიყვანეს. იმათ ორი

---

*) „დროება", № 91.

მაიმედა ჯერ გამგეობამ, რომ სესხს მოგცემთო და მერე რატომ არ მომცა? რად შემიყვანა ამდენ ხარჯში? რად მიმიყვანა იქამდინ, რომ იძულებული ვიყავ მერაბ ყორღანოვის ბანკიდამ ოცი თუმანი მესესხნა, თუმანი თვეში აბაზად, და ისე გავსულვიყავ ქალაქიდამ? რად დამაკარგვინა ტყუილა-უბრალოდ ამდენი დრო? რად მაწვალა? სხვებს თუ აძლევენ იმ გვარი საბუთებით სესხს, რა გვარიც მე წარუდგინე, რატომ მე არ მომცეს?

თ. ილ. ჭავჭავაძემ თავის სიტყვა იმითი დაიწყო, რომ ყველაფერს ვიტყვი, რაც სათქმელი მაქვს ამ საგნის შესახებ და თუ ვისმესთვის ზოგიერთი ჩემი სიტყვები საწყენი დარჩეს, ნურას უკაცრავად ამ თავითვე ბოდიშს ვიხდიო.

შემდეგ თითო თითოდ და ცალკ-ცალკე შეუდგა ბ. ტატიშვილის მოთხრობისა და იმისაგან მოყვანილ ფაქტების დარღვევას. საზოგადოება სულ განაბული ისმენდა იმის დარბაისლურ, მჭევრ-მეტყველურ ქართულს და იმის აღელვებისა-თანავე თითონაც მღელვარებაში მოდიოდა.

უმთავრესი საბუთები იმისი იყო შემდეგი: ბ. ტატიშვილები ისე არ მოიქცნენ, როგორ ჩვენ ვურჩიეთო; იმათ ის დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ, რომელიც ჩვენ ვუთხარითო. მართალია, პირველად დავპირდით ფულის მიცემას; მართალია, იმისთვის გირავნობის ფურცლებიც დავიბარეთ და მიცემასაც უპირობდით, მაგრამ როცა დოკუმენტები წარმოადგინა და დავრწმუნდით, რომ ეს დოკუმენტები ჯეროვანად არ უგებდნენ ბანკს პასუხს, უარი ვუთხარით. ორი დოკუმენტი ვიცანით ჩვენ უმართებულოთ: ერთი გაყოფის ქაღალდი, რომელზედაც ვიღაც ერთ კერძო პირს ჰქონდა ხელი მოწერილი, რომ ამა-და-ამ ტატიშვილებს მამულები გაუყავიო; მეორე დოკუმენტი კიდევ უფრო საეჭვოდ გვეჩვენა: ამ დოკუმენტზე დაწვრილებით ლაპარაკი აქ საჭიროდ არ მიმაჩნია, რადგან ყველაფერი რომ გამოაშკარავდეს, შეიძლება ამას ტატიანთათვის არა-სასიამო კუდი გამოება ამ საქმეს; ვიტყვი მხოლოდ რომ ამ დოკუმენტში, საცა სიტყვებით ეწერა რუსულად **тысячу десятинъ**, სიტყვის („ტისიაჩუ“-ს სხვა მელნით და სხვა კალმით ჩაწერილი იყო რიცხვი 2. ამ გარემოებამ ეჭვში შეგვიყვანა ჩვენ, ეჭვში შეიყვანა თვით ზედამხედველი კომიტეტიც და ჰკითხეთ ამ კომიტეტის თავსმჯდომარეს პატივცემულ კ. ქ. მამაცაშვილს, რომელიც ყველა ქართველისათვის გულ-შემატკივარია—ურჩია იმან ტატიანთ, რომ წაეღოთ უკანვე ეს ქაღალდი თუ არა?

ქ. კ. მამაცაშვილი და სხვა წევრნი კომიტეტისა, ბ. გ. თუმანიშვილიც ერთხმად აცხადებდნენ, რომ ეს ქაღალდი მართლა საეჭვო იყო და ურჩიეს ტატიშვილებს იმის უკან წაღება.

— რაიცა შეეხება ზედამხედველ კომიტეტის მოწერილობასო, განაგრძო ბანკის გამგეობის თავსმჯდომარემ, რომ ჩვენ მიეცეთ სესხი ბბ. ტატიშვილებს, ეს მართალია: ბ. ტატიშვილმა, წესდების წინააღმდეგ, პირ-და-პირ ზედამხედველ კომიტეტში, და არა ჩვენის ე. ი. გამგეობის საშუალებით, წარადგინა საჩივარი და ამ კომიტეტმა მოგვწერა, რომ დავაკმაყოფილოთ ბ. ტატიანთ საჩივარი. მაგრამ ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ ეს მოთხოვნილება კომიტეტისა და ვერ დავაკმაყოფილეთ იმიტომ, რომ იმას უფლება არ ჰქონდა ამ საქმეში გარევისას. სესხის გაცემაში ჩვენ ვართ პასუხის მაგებელი, ეს მარტო ჩვენი საქმეა და არა ზედამხედველ კომიტეტს არავითარი უფლება არა აქვს ძალა დაგვატანოს და გვითხრას—უეჭველად ამა-და-ამას მიეცით ფული და იმას ნუ მისცემთო. ზედამხ. კომიტეტს შეუძლიან გვიბრძანოს ეს, შეუძლიან სამართალში მიგვცეს, მაგრამ არც იმას და არც არავითარ ძალას არ შეუძლიან ჩვენი სინიდისის და შეხედულობის წინააღმდეგ ჩაგვადენინოს რომელიმე საქმე, რომელიც პირ-და-პირ ჩვენს მოვალეობას შეადგენს!

აი, ეს არის ამ საქმის გარემოება. თუ ჩვენ მომეტებულის სიფრთხილისათვის გასაკიცხავი ვართ, თუ თქვენ გინდათ, რომ უკანონო და უმართებულო საბუთებით მიიღოთ მამულები გირაოთ და გასცეთ სესხი,—თქვენ შეგიძლიანთ გამოსცვალოთ ახლანდელი წესდება ბანკისა და ამ დამღუპველ წესდების აღსრულება სხვა პირებს მიანდოთ, სხვა გამგეობას და ჩვენ კი მაგ საქმე ვერ ვიკისრებთ...

ასე გაათავა თავის სიტყვა თ. ი. ჭავჭავაძემ და ამ სიტყვამ რომლისაც ჩვენ აქ მხოლოთ მოკლე შინაარსი მოვიყვანეთ, დიდი აღტაცება და ხანგრძლივი ტაშის-კვრა აღძრა თითქმის მთელს საზოგადოებაში. ამ სიტყვის შემდეგ, ბანკის გამგეობის მომხრეებს თითქოს რაღაც მძიმე ლოდი მოშორდათ გულიდამ, დაიმშვიდეს გული და დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ კენჭის-ყრაში აუცილებელი გამარჯვება უეჭველად ბ. ჭავჭავაძეს დარჩებაო.

## დღიური

მზის დაბნელების მოუთმენელად მოშლოდინეთ დღეს დილით ჰქონდათ საშუალება დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ცნობის-მოყვარეობა...

უბრალო გამურულის შუშის ნატეხით შეიარაღებულს ადვილათ შეეძლო შეენიშნა შავი სარტყელი, რომელიც ვიწროთ შემოედო მარჯვენის მხრით ჩვენს განმაცხოველებულს მზეს. ეს იყო სწორეთ იმ დროს, რომელიც უკვე გამოანგარიშებული იყო ცის მოვლინებების მცოდნე პირების შემწეობით გამოცხადებული გაზეთ[...] ში—8 საათს და 51 მინუტს. [...] დროიდამ დაწყებული [...] ადვილად შენიშნავდა, იმავე უბრ[...] იარაღის შემწეობით, თვითონ ს[...] ლის მოძრაობას მარცხენა მხრი[...] მიმავალს. წილად არ ერგებია [...] ჩვენ მხარეს სრული მზის დაბნ[...] როგორიც ყოფილა ადრე; გამოან[...] რიშებული იყო, რომ დაით[...] მზის მთელი სიმგრგვლის რვა მე[...] დი (0,8) ნაწილიო.

დაბნელების დაწყება და აგრე[...] გათავებაც ნამდვილათ გამოცხად[...] ლის თანახმად აღსრულდა: უკან[...] ნელი კვალი სიბნელისა მოშორ[...] მზეს **თორმეტის საათის ოც-და-ც[...] მინუტს.**

მთელი ქალაქი გამურულის შუ[...] ბით შესცქეროდა მზეს დარწმუნდ[...] და მეცნიერების სიბეჯითეში და [...] უცდომელობაში...

* * *

გუშინ ორშაბათს, 3 მაისს, ქ[...] ლაქის თავმა ბ. ა. ს. მატინო[...] რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა ქალა[...] ქის რჩევის სხდომაზედ ახლად მიც[...] ლებულ ბატონიშვილის ერეკ[...] შესახებ და ამასთანავე წინადად[...] მისცა რჩევას, მიცვალებულის დედ[...] ბატონის რძალს მარიამს მთელი ქ[...] ლაქის ხალხის სახელობით გამოე[...] ცხადოთ თანაგრძნობითი და მწუ[...] რებითი გრძნობა იმ მძიმე უბედუ[...] რებაზედ, რომელიც იმას ეწვიაო. ქ[...] ლაქის რჩევა ერთ-ხმად დათანხმდა [...] წინადადებაზედ და მიცვალებულ[...] ღრმა პატივისცემის ნიშნად ყვე[...] ხმოსნები ფეხზე წამოდგნენ.

* * *

დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ, რომ [...] წლევანდელი თავად-აზნაურთა ა[...] რი კრება ჩვეულებრივის გულ-გრ[...] ლობით და დაუდევნელობით არ გ[...] დება თავის მოვალეობისა და უფლე[...] ბის შესრულებას: როგორც გვეს[...] და ვიცით, ამ ქამად ჩვენს ქალაქ[...]

---

მარჯვე სროლით, მტრებს მოუკლეს ორი კაცი, მაგრამ იმათ დახოცილები თან წაიღეს და შეშინებულები გაიქცნენ.

— აგრე ხომ წყალობასაც მოგვცემენ! სიამოვნების ღიმილით წარმოსთქვა ერთმა.

როგორცა სთქვეს ისეც მოიქცნენ. ესროლეს თოფები და გაიქცნენ ღრიალით ციხისკენ.

მოისმა ბარაბნების ხმა, რომელზედაც განგაშს სცემდნენ და ტკბილის ძილიდგან გამოღვიძებული ციხის უფროსი, თმა გაწეწილი და ფეხშიშველი გამოვარდა გარედ.

— რა ამბავია? შეშინებულის ხმით დაიძახა იმან.

— რა მოგახსენოთ, თოფები გაცვივდა. უპასუხა კარებთან მდგომმა ყარაულმა.

სალდათები გამორბოდნენ, გზაში იკეთებდნენ თავიანთ სამკაულს, რადგან შეჭურვა შინ ვერ მოესწროთ.

წარმოუთქმელი არეულობა იყო, მით უფრო, რომ ჯერ არავინ იცოდა რა ამბავია, ან ვისთან ექნებოდათ საქმე.

ამ დროს შემოცვივდნენ ის სალდათები, რომელთაც ისეთი არეულობა მოახდინეს თავიანთის თავის დასაცველად. ისინი მივიდნენ პირ-და-პირ ნაჩალნიკთან.

— რა ამბავია? შორიდგანვე დაუძახა იმან.

— მტერი გამოჩნდა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

უფროსი დაიფანტა, თმა უფრო აებურძგნა.

— ვინ მტერი? სად? როგორ? არევით იკითხა იმან.

— ციხეს დაეცნენ, გატეხეს, ტუსაღები წაიყვანეს.

— რას მეუბნებიან? გულ-გახეთქით წამოიძახა აფიცერმა, რომელსაც პირისახე დაუმახინჯა შიშმა.

— სამი სალდათი მოგვიკლეს, ჩვენც ორი მოვკალით, მაგრამ დახოცილები თან წაიღეს და თითონაც გაიქცნენ.

რა რომ სიტყვა გაიქცნენ გაიგონა და დაინახა, რომ იმის სიცოცხლეს აღარავინ ერჩოდა, გული მოეცა, მაგრამ მაინც პირველი იმის ფიქრი იყო პირადი საქმე.

— მაინც პასუხის-გებაში მიმცემენ! დაიძახა იმან და წაივლო თმებში ხელი.

ის შებრუნდა შინ, ჩაიცვა საჩქაროდ და გასწია სალდათებით და კიდევ ერთის იქ მყოფის უფროსით ბრძოლის ველზედ.

იქ მივიდნენ, ნახეს დახოცილი რუსები, ნახეს ციხის გახსნილი კედელი და შეიტყეს იაგოს გაქცევა, რომელიც ყველაზედ მეტად ეწყინა მბძანებელს.

ციხის უფროსმა, ერთი აფიცერი და რამდენიმე სალდათი გამოუყენა გაქცეულებს, რომელთ რიცხვიც ას ორმოც-და-ათს კაცს უნდა გადასჭარბებოდა სალდათებისგან მოტანილის ცნობით; თითონ-კი დაბრუნდა ციხეში სადაც სასტიკი გამოძიება უნდა მოეხდინა.

ამ ხანში იაგო თავის ამხანაგებმა გაიყვანეს ერთი მთის სერზედ, სადაც მოაგროვეს ძველი ბალახი, ზედ გ[...] დააფარეს ნაბადი და იმაზედ დააწ[...] ნეს დასუსტებული...

იაგოს, რომელიც დაეღალა ს[...] რულს, მოუსვენებლობას და წ[...] სულს ცხოვრებას, ეძინა როგორ[...] მკვდარს. იმისი ამხანაგები-კი სადღე[...] ზრუნვას შესდგომოდნენ და იმ[...] ზედ სანადიროთ წასულიყვნენ.

ესენი ამ მდგომარეობაში იყვნე[...] როდესაც განრისხებული ციხის უფრო[...] სი შევიდა სწორედ იმ მოხუცთა[...] რომელიც იაგოსთან იყო დამწყვდე[...] ლი.

ამათ შესვლაზედ მოხუცი, რომე[...] ლიც ჩალაზედ იწვა, გადაბრუნდა [...] თვალები მოარიდა შესულებს.

— შენ ეი! არ გესმის, ვინ შემო[...] ვიდა? დაუყვირა უფროსმა და და[...] ბრიალა თვალები.

მოხუცმა ხმა არ გასცა.

— არ გესმის? გაუმეორა უფროს[...] მა.

— მესმის, უპასუხა პყრობილმა.

— მერე უფროსს ეგრე უხვდები[...]

შეკრებილ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას თითქმის მუდამ შეკრებილება აქვთ, წინათვე სჯიან და ბაასობენ იმ საგნებზე, რომელზედაც საზოგადო კრებაში მოლაპარაკება უნდა იქმნეს წინათვე ემზადებიან, რომ რიგიანად გადაწყვიტონ ყოველი განსახილველი საქმე და რიგიანი, ღირსეული კაცები ამოარჩიონ თავის წარმომადგენლებად.

ეს კარგი მაგალითია და ვისურვებთ, რომ კვლავაც ასე მოქცეულ იყოს ჩვენი თავად-აზნაურობა და იმერეთის თავად-აზნაურობასაც წაებაძოს იმისთვის ამ შემთხვევაში.

***

თავად-აზნაურთა კრება თავიანთ საზოგადო საქმეებზე მოსალაპარაკებლად და წინამძღოლების ამოსარჩეველად დღეს, ხუთშაბათს, 6 მაისს, დაიწყება. ამ დღეს ჯერ, ჩვეულებრივად, სიონის სობოროში დაიფიცებენ თავად-აზნაურნი და მერე საქმეს შეუდგებიან.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ტფილისის გუბერნატორს მიუწვევია ჩვენს ქალაქში ამ ჟამად მოგროვილი თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და გამოუცხადებია, რომ შემდეგში მმართებლობა აღარ ჰკისრულობს დეპუტატთ საბრანიისათვის დანიშნულ ხარჯსო. ამ საგანზე, როგორც გვითხრეს, სხვათა შორის თავად-აზნაურთა წლევანდელს კრებაში იქმნება სჯა.

***

ფოთიდამ გვწერენ:

„გუშინ, „პირველ მაისობის“ სადღესასწაულოთ დიდ-ძალი ხალხი მოვიდა აქ რკინის გზით სამეგრელოდამ, იმერეთიდამ და გურიიდამ; ცხენოსანნი და ქვეითნი ახლო-მახლო სოფლებიდგანაც ბევრნი მოვიდნენ, ასე რომ დღეს სავსეა ქუჩები უცხო სტუმრებით. ყველას მხიარულობა ეტყობა; ორივე სქესის წარმომადგენელნი ჩაცმულნი არიან სუფთათ და სასიამოვნოდ, ნამდვილ სასტუმროთ არიან განწყობილნი.

„დღეს, 1 მაისს, სადილობამდინ დასეირნობდნენ ბაღში და ქუჩებში. შემდეგ სადილობისა შეიკრიბნენ პარკში და კიდეც გააგდეს ბურთი. ერთ მხარეს მეგრელობა და მეორე მხარეს გურულობა ცდილობდნენ ბურთის თავიანთვის გატანას; მეგრელობა ძრიელ ბევრნი იყვნენ, იყო დიდი ჩოჩქოლი, ღრიალი „ურა“ და „ჰრიქა!“ დიდის დავიდარაბისა, ყვირილისა და მეცადინეობის შემდეგ ბურთი გაიტანეს მეგრელებმა, თუმცა დიდ ხანს კი გაუძლეს გურულებმა, ბურთი არ დაანებეს. გახარებულმა მეგრელებმა იყყვირეს გურულებს, შარშანდელი ვალი გარდვიხადეთ.

„დღე იყო მშვენიერი, ღრუბლიანი და გრილი. როგორათაც კვლავ, ცოტა კინკლაობა წელსაც იყო: ხმალ-ხანჯლების ტრიალი და ცემა-ტყეპა. მსხვერპლათ კი არავინ გამხდარა, მხოლოდ რამდენიმე კაცი სუბუქათ დაიჭრნენ; ჯიბგირებმაც კი თავიანთი ხელობა არ დააკლეს: ერთს 1,500 მანეთი ამოაცალეს, მეორეს 300, მესამეს 30 მანეთი, მეოთხეს 18 მანეთი, მეხუთეს საათი ძეწკვით და მეექვსეს კარგი ოყიანი ვეცხლის ქამარი და მეშვიდეს 700 მანეთის ვექსილი, სხვებს სხვა-და-სხვა ნივთებიააძრეს.“

***

ირაკლი ბატონიშვილს დასაფლავების თაობაზედ რომ გუშინწინდელს ჩვენს გაზეთში შენიშნვა იყო, იმ შენიშნვაში ერთი პატარა შეცდომა მოგვივიდა: მცხეთაში მწირველი და პანაშვიდის გადამხდელი ეგზარხოსი კი არა, არხიმანდრიტი გრიგოლ დადიანი იყო.

***

გუშინდელს ნომერში ზედამხედველ კომიტეტის სიაში ჩვენ შეცდომით დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა თ. რაფ. დ. ერისთავი, რომელიც აგრეთვე ამორჩეულ იქნა ამ კომიტეტის წევრად.

***

ქალაქში ბურთაობის მოთავენი გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გავლილ კვირას, ბატონისშვილის ერეკლეს მიცვალების გამო, დიდუბეში ბურთაობა არ ყოფილა გამართული და მობურთავეებმა გადაწყვიტესო, რომ არც ორმოცის დღის განმავალობაში ექმნებათ ეს დროს-გატარებაო.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! არ შემიძლია გავჩუმდე და აშკარად არ გამოუცხადო მადლობა თ. ილ. ჭავჭავაძეს ორის მხრით: ერთი იმისთვის, რომ თავ. ილ. ჭავჭავაძეს, თავის ამხანაგებით ერთად, ბანკის ინტერესი და სარგებლობა კეთილ სინიდისიანათ დაუცვიათ რამდენათაც-კი შესაძლებელი ყოფილა და ხელთ საშუალება ჰქონიათ. თითონ ზედამხედველ კომიტეტის წინააღმდეგათაც-კი გამხდარან და უკიდურესათ პასუხის გება, ოღონდ ბანკის ინტერესი დაეცვათ და იმისი სარგებლობა წარმატებაში მოეყვანათ.

მაგრამ ამ პირველ მოქმედებისათვის კიდევ იმოდენათ ღირსი არ არის მადლობისა, რაოდენათაც მეორესთვის; არ არის ღირსი-მეთქი იმიტომ, რომ პირველში როგორც ილ. ჭავჭავაძე, აგრეთვე იმისი ამხანაგი, ბანკის დირექტორები, იქ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და მაშასადამე კაცისგან თავისი ვალის ასრულება კიდევ ისეთი ღირსება არ არის, რომლისთვისაც მეტის-მეტს აღტაცებაში უნდა მოვიდეთ.

მადლობის და გულითადი თანაგრძნობის ღირსი ილ. ჭავჭავაძე იმისთვის არის, რომ იმან ისე ღირსეულად დაგვიმტკიცა უმანკოება იმ ცილისწამებაში, რომელსაც უგრძნობლად [illegible] იმას სხვა-და-სხვა პირნი, [illegible] სურვილიც იყო ისე უპატიოსნოდ ტალახში ჩაფვლა ამ პატივ-საცემი პირისა.

რას არ ამბობდნენ თ. ჭავჭავაძეზედ! ამბობდნენ, რომ ის იქამდინ გაბატონდა, რომ ყურის-გდებასაც-კი აღარა კადრულობს, როდესაც-კი იმასთან საქმისთვის მიდიან. ამბობდნენ, რომ იმან გააღარიბა და გააღატაკა ვიღაცა ტატიშვილი, რომელსაც ფული მხოლოდ იმისთვის აღარ მისცეს ბანკიდამ, რომ ილ. ჭავჭავაძემ არ ინება და სხვა-და-სხვ...

ყველაზედ უმეტეს უკმაყოფილებას ნერგავდა ტატიშვილის საქმე, რადგანაც ეს ტატიშვილი ღარიბი აზნაურშვილიაო, დაიმედებული ჭავჭავაძისაგან, რომ ფულს მისცემდნენო ჩამოდიოდა ქალაქში, იხარჯებოდა, ვალს იღებდა და ბოლოს სრულიად გაღატაკდა, რადგანაც ერთბაშათ ვითომც ჭავჭავაძის ბატონური ბძანებით ფული აღარ მიეცათ იმისთვის.

მართლა შესაძრწუნებელი უნდა ყოფილიყო ეს საქმე, თუ ნამდვილად ასე აღმოჩენილიყო.

ამას ლაპარაკობდნენ ქალაქში, ქუჩებში, ლაპარაკობდნენ სახლებში, ლაპარაკობდნენ სოფლებში და ლაპარაკობდნენ ისეთი პირნი, რომელნიც ძალიან ახლოს იდგნენ თითონ ჭავჭავაძესთან და თამაშობდნენ მამულისთვის გულ-შემატკივარ გმირების როლს. ილაპარაკეს დღეს, ილაპარაკეს ხვალ, ზეგ და ამ გვარად ყრილობისთვის მოამზადეს აღელვებული წინააღმდეგი პარტია, რომლის სიმრავლემ, პირველად, თითქმის შეაშინა და დააფიქრა ჭავჭავაძის მომხრეები; იმათ იმისი-კი არ ეშინოდათ, რომ ჭავჭავაძეს ის გროშები მოაკლდება, რომელსაც ბანკი უნიშნავს მართველს; არა,—იმათ ეშინოდათ, რომ ყოველის მხრით პატივ-საცემს კაცს,

---

კიდევ პასუხი არ მიიღო და ამან უფრო ვაალეცხლა.

— ადექ! დაჰყვირლა იმან ერთბაშად და შემოჰკრა სილა.

— რადა მცემ?.. რას მემართლები?

— ადექი მეთქი! გაუმეორა ნაჩალნიკმა.

— არ შემიძლიან, მუხლები დასიებული მაქვს.

— ააყენეთ! უბრძანა იმან იქ მყოფ სალდათებს და ისინიც მისცვივდნენ.

— ულმერთოო! დახედეთ ჩემს მუხლებს. უთხრა მოხუცმა და გადმოიშეირა მუხლი, რომელსაც საფარი შემოგლეჯოდა და ნაფლეთების ქვეშიდგან ტიტველა ხორცი გამოსჩენოდა. მაგრამ, ოჰ ღმერთო! რა ხორცი იყო?! გამხდარი ცარიელა ტყავი, რომელშიაც წყალი ჩამდგარიყო და დაღუმბებულს კანი იქამდის დათხელებოდა, რომ შიგ შუქი გადიოდა.

— გასიებული ფეხი და მუხლი, კოჭებთან მოჭერილს ბორკილს ჩაეჭამა და ხორცი დაფარულიყო იარებით, უწმინდურობისა და რკინისგან მუდამ ჩაჭმის გამო, ერთს ალაგას ძვალი გამოეჩინა და ზედ შემხმარი სისხლი და ჩირქი შესაზიზღ ტალახის ფერად გარდაქცეოდა. ალაგ-ალაგ სილურჯე ამტკიცებდა, რომ ამ მდგომარეობას ჩქარა ბოლო უნდა მოეღო ამ წამებულისთვის.

— უკაცურნო, დახედეთ!.. კაცობა აღარ გაქვსთ?

სალდათებმა ყური არ უგდეს იმის ლაპარაკს და წამოაგდეს მოხუცი, რომელიც ტკივილისგან იკლაკნებოდა და ძლივსღა იდგა.

— დადექ, დადექ—ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება. ტუჩების ღრღნით უთხრა უფროსმა და დაუწყო ყურება.

ის უყურებდა დიდხანს, რაღაცა სიამოვნებით და თითქოს სტკბებოდა მოხუცის მწუხარეობით და ტკივილით.—უფროსი იგრეხდა ულვაშებს. ხანდიხან წარმოსთქვამდა რაღაცა გამოურკვეველ ხმებს და დრო გამოშვებით ანძრევდა ერთს ფეხს. ბოლოს შესწყვიტა სიჩუმე და ერთბაშათ შეუტია.

— სად არის იაგო?

მოხუცმა გაკვირვებულის თვალით შეხედა, რადგანაც ვერ გაიგო რასა ჰკითხამდენ.

— რას დაგიჭყეტია თვალები? მიპასუხე, რა იქმნა იაგო?

— იაგო?! კიდევ ვერ გამოერკვია მოხუცს, რასა ჰკითხამდნენ.

— ჰო, იაგო!

— იაგო თქვენ წაიყვანეთ! თუ მოჰკალით, სხვა რას უზამდით. რაი გამოგივათ ხელიდგან?

— ნუ ეშმაკობ, მაგით ვერ მომატყუებ.

— მე არ ვეშმაკობ, მართალს გეუბნები.

— სად გაიქცა, ან ვინ უშველა?

— გაიქცა?! მღელვარებით წარმოსთქვა მოხუცმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა. — ღმერთმა ხელი მოუმართას თუ გაიქცა.

— შენ ხომ იცოდი, რომ გაიქცეოდა? უეჭველია გეტყოდა?

— არ ვიცოდი და არც უთქვამს.

— სტყუი!

— მე მთიული ვარ, განია რუსი.

— მითხარ ყოველის ფერი, თუ თავი გებრალება.

— მე სიკვდილი არ მაშინებს და არც ტყუილს ვიტყვი.

— გათქმევინებ, ყოველის ფერს გათქმევინებ! მივარდა უფროსი და და დაუწყო წვერ ულვაშის გლეჯა.

მთიული მთლად გაფითრდა ამ გვარად დამცირებისთვის.

— ურჯულოს მეტი კაცის ულვაშ ვინ შეეხება?... რაიც გინდა ქნათ, ღომისისმადლმა, კაცობა არა გაქვსთ...

— გაჩუმდი, გაჩუმდი შე ავაზაკო, კერპო შენა, თორემ შე მომაკვდები!

მოხუცს თავში გაუელვა აზრმა, რომ ეს საუკეთესო წუთი იყო თავის სურვილის აღსრულებაში მოსაყვანად და ეს სურვილი-კი იყო სიკვდილით გადარჩენა...

ა. მოხხუბარიძე.

(გაგრძელება)

რომელსაც გაეწია სამსახური როგორც სამშობლო ლიტერატურასათვის, აგრეთვე ყველა საზოგადო საქმისთვის, მოულოდნელის გაშაევებით შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ.

ეს მით უფრო შესაძლო ხდებოდა, რომ ჩვენი სოფლელი თავად-აზნაურობა, რომელიც იშვიათად ჩამოდის ქალაქში, ჯერ კიდევ არ იცნობს ჭავჭავაძეს და იმის ღვაწლს, მაშასადამე ადვილად შეეძლოთ შეცდომილებაში შესვლა, რადგანაც ეს ხმები ესმოდათ თავიანთ მეზობლებისგან, რომელნიც არამც თუ ახლო იდგნენ ჭავჭავაძესთან, არამედ იმასთან ერთად სწარმოებდნენ და რაოდენათმე განებიერნებულნიც-კი იყვნენ იმისგან.

ამ გვარს საშიშ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც დაიწყო სხდომამ თავისი მოქმედება.

მაგრამ ბ. ჭავჭავაძემ დაარღვია საბუთებით ყოველ გვარი ცილის-წამება, რომელსაც იმას უგონებდნენ. . . . . . აქ ხმებს ავრცელებდა და ბოლოს საქმე იქამდინ მიიყვანა, რომ საზოგადოებამ საერთოს ტაშის ცემით ერთ-ხმად აღირჩია ის მომავალი წლებისთვის ბანკის მართველად.

ამით ჩვენმა საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ იმათთან ხუმრობა ეგრე ადვილი არ არის, რომ ცილის-წამებასა და ჭორებს ის ყურს არ უგდებს; ამ საზოგადოებამ ჩააშავა ის პირნი, ვინც ისე . . . . . . . ექცეოდნენ იმათ დამდობელს და კეთილს გულს. ზაუმარჯოს ამ გვარის ქცევისათვის ჩვენ საზოგადოებასაც...

ერთი მოკენჭეთაგანი

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალეგიძე და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


შაბათს 8 მაისს ამა წლისა 5 საათზედ სადილს შემდეგ აკლიმატიზაციის ბაღში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა (მუშტაიდის ბაღს იქით) იქნება ტორგით გაყიდვა ამ წლის ხეხილის მოსავლისა.
(3—2)

ქუთაისში, პოლკოვნიკს რუბანთან ისყიდება პიანინო.
(3—2)

**„ВОСТОЧНОЕ ОБОЗРѢНІЕ“**

Еженедѣльная газета безъ предварительной ценз. под ред. Н. М. Ядринцева.

Изданіе посвященное жизни провинціи окраинамъ.

**Выходитъ съ 1-го апрѣля, цѣна 8 р.**

Содержаніе №№ 1, 2, и 3: Востокъ и Западъ В. П. Васильева — Колонизаціонный вопросъ на окраинахъ.— Что такое Поземельная Община С. Я. Капустина.— По поводу 300-лѣтія Сибири Е. В. Максимова.— Центръ и окраины С.— Русскій Востокъ и его будущность.— Провинціальный вопросъ и переселенія.— Жолтый вопросъ въ Америкѣ и въ Сибири.— Значеніе области въ русской жизни.— Беллетристика: Странникъ на золотомъ озерѣ Ядринцева.— Гонимые (изъ сибирскихъ нравовъ) Н. И. Наимова.— Воспоминованія и грезы восточнаго фельетониста.— Послѣднія новости по переселенческому вопросу.— Сибирскіе вопросы и реформы.— Хроника.— Политическіе обзоры и вѣсти съ востока.— Обзоръ общественной и провинціальной жизни.— Корреспонденціи изъ Тобольска, Томска, изъ Барнаула, съ Алтая и т. д.— Хроника жизни за недѣлю.— Критика и библіографія.— Биржевыя извѣстія.— Объявленія.

Подписка въ конторѣ редакціи, Ивановская, д. 13, кв. 18.

Въ Тифлисѣ подписка принимается въ газетномъ агентствѣ В. ШАВЕРДОВА. (5—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი
ქ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის საერთო მფლობელობაზე**

თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

გიორგი ნ. ძის იოსელიანის და ბ. რეცოლდის პანსიონში იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხ დრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.
მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81
(2—2)

**იურიდიული კაბინეტი**

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტეკტორის ბელოევის სახლში ქელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ სალამოს 10 საათამდი.

აქ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—25)

**ექიმი შტემბორსკი**

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და სალამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—7)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** [illegible] კაპ. დაწყებული; [illegible] 10 კაპ—დამ; პაპიროსები 5 კ.—და[...] მურაბა და ალბომები ნახევარ ფა[...] და სხვ. (100—83)

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველობა [...] აცხადებს, რომ მისგან დაარსებულ[...] ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. [...]საც სურს ეს ადგილი დაიჭირო[...] შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა [...] საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—4)

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძე[...] მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამ[...] ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—14)


**ტაქსის**

საჭმელად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, [...]ნებში და დაცარებათ 1 მაისიდამ 15 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 12 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


ახლად ჩამოსული

**ბებია-ქალი**

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც [...] წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საქა[...]მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის დამზადებული ოთახები.

ადრესი: ელისაბეტინის ქუჩა, სახლი 60.
ბებია-ქალი დობროდეევა—კაშინსკისა.

(24—20)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Мая 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მეს[...]